1)

დედამ გადაწყვიტა სტაფილოს, ჭარხლისა და კომბოსტოსაგან დაემზადებინა სალათი. რამდენი განსხვავებული სალათის დამზადება შეუძლია დედას, თუ გამოიყენებს მხოლოდ ორ ბოსტნეულს?

ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

2)

გიორგი ჩიტებისთვის ხელოვნურ ბუდეებს აკეთებს. თითო ბუდის **გასაკეთებლად 24 ლურსმანს** იყენებს ხოლმე. რომელი მოქმედებით შეგვიძლია გავიგოთ, რამდენი ლუსმანი დასჭირდება გიორგის **6 ხელოვნური ბუდის გასაკეთებლად?**

ა) 24 : 6

ბ) 24 – 6

გ) 24 × 6

დ) 24 + 6

LIVEWORKSHEETS

3)

საზაფხულო ბანაკში ბავშვებმა გადაწყვიტეს ორი სათამაშო სახლის აშენება. ბავშვების ერთმა გუნდმა ააშენა ოთხკუთხა პირამიდის ფორმის სახლი, მეორე გუნდმა კი - ხუთკუთხა პირამიდის ფორმის. რამდენი წვერო გამოუვიდა თითოეულ სახლს?

სახლის ფორმა	წვეროების რაოდენობა
ოთხკუთხა პირამიდა	
ხუთკუთხა პირამიდა	

4)

შემოხაზე მიმდევრობის პერიოდი:



LIVEWORKSHEETS

5)

დააკვირდი მიმდევრობას:



რომელი საგნების განმეორებით შეიძლება მსგავსი მიმდევრობის აგება?

შემოხაზე სწორი პასუხი.

ა) 

ბ)

გ)

დ)

LIVEWORKSHEETS

6)

ჩამოთვლილთაგან რომელია 150-ის მომდევნო რიცხვის უახლოესი ასეული?

ა) 151 ბ) 160 გ) 200 დ) 2

7)

ხუთას ოთხმოცდაშვიდის ციფრულ ჩანაწერში ათეულების თანრიგში მდგომი ციფრია:

ა) 4 ბ) 5 გ) 7 დ) 8

8)

მოცემულია ტოლობა: $\square + 137 = 685$

ჩამოთვლილთაგან, რომელი მოქმედებაა საჭირო უცნობი რიცხვის საპოვნელად?

ა) $685 : 137$ ბ) $685 - 137$ გ) $685 + 137$ დ) $685 \cdot 137$

LIVEWORKSHEETS

9)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ **სივრცულ გეომეტრიულ ფიგურას** ხედავ ამ ფოტოზე?

ა) სამკუთხედი

ბ) სფერო

გ) კვადრატი

დ) პირამიდა

LIVEWORKSHEETS

10)

მოცემულია სამკუთხედი და მის გვერდებზე მონიშნულია **ოთხი წერტილი.** რომელი **ორი წერტილი** უნდა შევაერთოთ მონაკვეთით, რომ მოცემული სამკუთხედი **ორ სამკუთხედად გაიყოს?**



ა) E და B
ბ) P და M
გ) M და B
დ) E და M

11)

სანერგე მეურნეობაში ერთ მწკრივში დარგული ატმის ნერგები გადანომრეს. ერთ დღეს **46-დან 71-ის ჩათვლით** ნომრიანი ნერგები გაყიდეს. რამდენი ატმის ნერგი გაუყიდიათ?

ა) 24 ბ) 25 გ) 26 დ) 27

LIVEWORKSHEETS

12)

მოცემულია რიცხვები: **256; 176; 167; 265.**

ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ პასუხშია ეს რიცხვები **დალაგებული ზრდის** მიხედვით?

ა) 265; 256; 176; 167. გ) 176; 167; 265; 256.

ბ) 256; 265; 167; 176. დ) 167; 176; 256; 265.

LIVEWORKSHEETS

13)

რა აქვთ საერთო ნახაზზე გამოსახულ ოთხივე ხუთკუთხედს?



ა) ორი გვერდი და სამი წვერო

ბ) მხოლოდ ერთი წვერო

გ) მხოლოდ ორი გვერდი

დ) არაფერი

LIVEWORKSHEETS

14)

დაადგინე, ფიგურებში რა წესითაა ჩაწერილი რიცხვები და იმავე წესით შეავსე ბოლო ფიგურა.



LIVEWORKSHEETS

15)

ცხრილში მოცემულია სოფლის ოჯახში არსებული შინაური ფრინველებისა და ცხოველების რაოდენობები:

სახეობა	რაოდენობა
ღორი	16
ძროხა	7
ქათამი	35
ინდაური	9

რომელი გამოსახულება გვიჩვენებს, სულ რამდენი ფრინველი ჰყავს ოჯახს?

ა) 7 + 35

ბ) 35 + 9

გ) 16 + 7

დ) 9 + 16

LIVEWORKSHEETS

16)

ცხრილში მოცემულია თბილისიდან სხვადასხვა ქალაქებამდე მანძილი კილომეტრებში.

კასპი	ქუთაისი	ბათუმი	თელავი
48	267	354	143

ცხრილის მიხედვით გაარკვიე, რომელია თბილისიდან ყველაზე შორს და ყველაზე ახლოს არსებული ქალაქების წყვილი:

ა) ბათუმი და ქუთაისი

ბ) ბათუმი და კასპი

გ) ქუთაისი და თელავი

დ) თელავი და კასპი

LIVEWORKSHEETS

17)

სირბილში შეჯიბრების დროს გიორგიმ გაირბინა 463 მეტრი, ვახომ 774 მეტრი, ნუცამ 225 მეტრი, ხოლო ელენემ გაირბინა 596 მეტრი.

რომელ ცხრილშია ეს მონაცემები წარმოდგენილი?

ა)

მორბენლები	გარბენილი მეტრების რაოდენობა
ელენე	596
ვახო	463
გიორგი	774
ნუცა	225

ბ)

მორბენლები	გარბენილი მეტრების რაოდენობა
ელენე	463
ვახო	774
გიორგი	225
ნუცა	596

გ)

მორბენლები	გარბენილი მეტრების რაოდენობა
ელენე	596
ვახო	774
გიორგი	463
ნუცა	225

დ)

მორბენლები	გარბენილი მეტრების რაოდენობა
ელენე	463
ვახო	596
გიორგი	774
ნუცა	225

LIVEWORKSHEETS

18)

სურათზე გამოსახულია „რიცხვების მანქანა“, რომელიც მასში შესულ რიცხვებზე ერთი და იმავე წესით მოქმედებს.

ცხრილი გვიჩვენებს, თუ ამ მანქანამ რომელი რიცხვი როგორ შეცვალა:

შესული რიცხვი	გამოსული რიცხვი
34	25
	40
60	51
82	73

გაარკვიე ამ მანქანის წესი და ცხრილის ცარიელ უჯრაში ჩაწერე შესული რიცხვი.

LIVEWORKSHEETS

19)

ნუცამ ზაფხულის არდადეგები ზღვაზე გაატარა: ივლისში 2 კვირა ქობულეთში იყო, ხოლო აგვისტოს 4 დღე — ბათუმში. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულებით გამოვითვლით სულ რამდენი დღე იყო ნუცა ზღვაზე?

ა) $2 + 4$

ბ) $7 + 7 + 4$

გ) $7 + 7 + 7 + 7 + 2$

დ) $7 + 7 + 7 + 7 + 7 + 7$

LIVEWORKSHEETS

20)

ნახატზე მოცემულია **ხუთკუთხედი.**



დააკვირდი სურათს და დაადგინე **ამ ხუთკუთხედის AE გვერდის სიგრძე.**

ა) 50 მმ ბ) 5 სმ და 2 მმ გ) 55 მმ დ) 6 სმ

21)

რიცხვები 215; 20□; 5□2 წყვილ-წყვილად შეადარე და დაალაგე ზრდადობით.

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:

LIVEWORKSHEETS